


საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015 წლის III კვარტალი (წინასწარი მონაცემები)


წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის III კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 378 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.1 პროცენტით აღემატება. აქედან ფურის სულადობამ 650 ათასი შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 8.4 პროცენტით გაიზარდა და 1 069 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 328 ათასი სული იყო, რაც 23.5 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2015 წლის III კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 10 630 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 8.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 2007-2015 წლების III კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2007-2015 წლების III კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)




* წინასწარი მონაცემები.

ცხერისა და თხის სულადობა 2007-2015 წლების III კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)




* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2007-2015 წლების III კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.


ფრინველის სულადობა 2007-2015 წლების III კვარტალის ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.


წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის III კვარტალში რძის წარმოებამ 190.6 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.0 პროცენტით ნაკლებია; ხორცის წარმოებამ 11.4 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 1.8 პროცენტით აღემატება; ხოლო კვერცხის წარმოებამ 138.8 მილიონი ცალი და წინა წლის მაჩვენებელზე 9.2 პროცენტით მეტი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2007-2015 წლების III კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2007-2015 წლების III კვარტალში (მლნ. ლიტრი)




* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2007-2015 წლების III კვარტალში (დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2007-2015 წლების III კვარტალში (მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2014-2015 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2014-2015 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2014				2015*		
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1,370.9	1,374.9	1,336.5	1,278.0	1,422.2	1,443.2	1,378.1
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი	647.6	661.4	655.1	665.2	659.3	661.5	650.4
ღორი	206.7	230.9	265.2	204.8	237.3	268.1	327.5
ცხვარი და თხა	1,145.5	1,135.3	985.9	919.6	1,233.3	1,231.5	1,068.5
ფრინველი (ათასი ფრთა)	7,303.0	11,978.4	9,764.7	7,272.6	8,135.2	13,054.0	10,629.7

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2014-2015 წლებში

	2014				2015*		
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	12.1	11.1	11.2	20.4	9.7	11.2	11.4
რძე (მლნ. ლიტრი)	106.8	232.7	192.5	124.2	114.4	233.5	190.6
კვერცხი (მლნ. ცალი)	127.2	151.1	127.1	144.0	144.3	151.3	138.8

* წინასწარი მონაცემები.

2015 წლის დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2016 წლის 16 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).